ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2477566

ნომერი: AR1383057

თარიღი : 02.03.2016

გაცემის თარიღი : 22.03.2016

გაცნობის თარიღი : 22.03.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ანატოლი სობჩაკი (ყოფ. ხაზინის ქუჩა), N 3 / ქალაქი თბილისი , ქუჩა თაბუკაშვილი (ყოფ. ძნელაძე/პეტრიწი), N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე მათითაშვილი პ/ნ 01018005887
- თბილისი გუდაურის შეს. N 7 ბ. 31

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ჰანოხ ჰეინრიხ კასი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 015541717

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თორნიკე მათითაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ანატოლი სობჩაკის(ყოფ.ხაზინის ქუჩა)N3 თაბუკაშვილის (ყოფილი ძნელაძე/პეტიწის ქუჩა) N5 არსებულ შენობაზე (ძეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების ნებართვის გაცემის საკითხს. რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად განეკუთვნება სარეაბილიტაციო სამუშაოებს. შესაბამისად, იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს პროექტის განხილვის, ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ, განაცხადი უნდა დარეგისტრირდეს შესაბამის ნომენკლატურაში (ელექტრონული განაცხადები –> მშენებლობის ნებართვა –> კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი –> სარეაბილიტაციო სამუშაოები –> ქმედებები: ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები –> სტადიები: ესკიზის წინასწარი შეთანხმება) და წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია.
– "მშენებლობის ორგანიზების კალენდარულ გრაფიკში და განმარტებით ბარათში მითითებულია სადემონტაჟო სამუშაოები, ასევე გათვალისწინებულია გარკვეული ნაწილების დაშლა–აღდგენა. გაცნობებთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად, ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშოები: ა) დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია; ე) რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია. შესაბამისად, განმარტებითი ბარათში, გეგმებსა და მშენებლობის ორგანიზების პროექტში "დემონტაჟი"–ს სამუშაოები არ უნდა იყოს; ამასთანავე განგიმარტავთ, რომ რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა". ამავე კანონის მე–3 მუხლის თანახმად: "ძეგლის რეკონსტრუქცია– დეტალურ სამეცნიერო კვლევებზე და ზუსტ ანაზომებზე დაყრდნობით, ახალი ან ძველი მასალით ან მათი კომბინაციის გამოყენებით, მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრეული ან დაშლილი ძეგლის ან მისი ფრაგმენტის პირვანდელი სახით ხელახლა აშენება"; გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მშენებლობის ორგანიზების კალენდარულ გრაფიკში და განმარტებით ბარათში მითითებულია სადემონტაჟო სამუშაოები.
– წარმოდგენილ იქნეს კონსტრუქციულ დასკვნა დეტალურად აღწერილი არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობით.

– წარმოდგენილ იქნეს არქიტექტურულ–არქეოლოგიური ანაზომები: გეგმა, ჭრილები, ფასადები, დეტალები, შაბლონები.
– წარმოდგენილ იქნეს სრულყოფილი რესტავრაციის პროექტი.
დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის და სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზის სრულად შევსების შემდგომ შესაძლებელი იქნება საკითხის განმეორებით განხილვა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.